ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

1. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაძლიერების საქმეში;

2. საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ;

3. იწფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. კობახია, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე-მერგოლური ტ. ნ. ჩხაიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლომერაციის საამქროს უფროსი მექურე რ. ზ. კანდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ნ. ჯუსოევი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ს. ბოჭოიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ს. ვაშაკიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. გ. აბაშიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჯაზეგის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. ფირანიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი რ. ს. ნაცვლიშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შ. ი. ბასილაშვილი,

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო **გადაწყვეტილება მოიწვიოს საქართველოს კომპარტიის მორიგი XXIV ყრილობა 1971 წლის 27 იანვარს.** დამტკიცებულია ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება

მომხსენებელი — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ს. ფირცხალავა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

პლენუმმა დაადგინა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები:

ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 290 წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით 290 სკკპ წევრობის კანდიდატისაგან.

პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ი. ჭანუყვაძემ.

პლენუმმა ამხ. შ. დ. კიკნაძე აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. (საქდესი).

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

№ 213 (4207)

1970 წ. 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ. ᲤᲐᲡᲘ 8 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ

ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს გათამაშდა მედლები ცალკეულ იარაღებზე. სარბიელზე პირველად ქალები გამოვიდნენ. საბჭოთა სპორტსმენებს 8 სხვადასხვა ხარისხის ჯილდო ხვდათ. მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა ლ. ტურიშჩევამ მიიღო ჯილდოების სრული კომპლექტი — ოქროს (თავისუფალი ვარჯიში), ვერცხლის (დვირი) და ბრინჯაოს (ხტომა) მედლები. ტურიშჩევა უველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია: 7 ოქტომბერს მას 18 წელი შეუსრულდა.

... სულ პატარა რომ იყო, ლიუდას ძალიან მოწონდა ტანვარჯიში და ბალეტი. მესამეკლასელი გოგონა დედამ გროზნოს ქარხანა „კასანი მოლოტის“ კულტურის სახლთან არსებულ ბალეტის წრეში მიიყვანა. ცოტა მოგვიანებით ფიზკულტურის მასწავლებელ მ ა ლიუდას ურჩია გროზნოში მაშინ უკვე ცნობილ მწვრთნელთან რასტოროცკისთან დაეწყო ვარჯიში. და სპორტმა გაიმარჯვა. თუმცა, ბალეტში მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია.

„პირველ ხანებში მსურდა უველაფერში რიფარ-ს საუკეთესო ტანმოვარჯიშეს ლ. იორმიჩევას დავმგვანებოდი, რომელიც მაშინ რასტოროცკისთან ვარჯიშობდა. შემდეგ ფიცარნაგზე ლატინინა ვნახე. მე შეჯიბრებებში გამოვდიოდი ასტახოვასთან, ცუპოლდთან ერთად. ეს საუცხოო სკოლა იყო. მერე უკვე გამიჩნდა სურვილი მეტოქეებისთვის მეჯობნა. სპორტში შეჩერება არ შეიძლება. მსოფლიო ჩემპიონატი ეს-ესაა დამთავრდა, ჩვენ კი, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, უკვე ოლიმპიადისთვის მზადებაზე ვფიქრობთ“.

... ამ საღამოს სამჯერ აუღერდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი. ოქროს მედლები დაისაკუთრეს ე. ცუპოლდმა (ხტომა და დვირი), აგრეთვე, კ. იანცმა (ორძელი).

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ჯილდოების გარდა სამშობლოში სხვა მედლებსაც ჩამოიტანენ. ვერცხლი მიიღო ო. კარასიოვამ თავისუფალი ვარჯიშისთვის, ბრინჯაო — ზ. ვორონინამ — ორძელზე და თავისუფალი ვარჯიშისთვის, ლ. ბურდამ — ხტომისთვის, ლ. პეტრიკმა — დვირზე შესრულებული კომბინაციისთვის.

ფიურიმ პრეს-ცენტრის შეფის თავმჯდომარეობით ჩემპიონატის უველაზე ლამაზ მონაწილედ დაასახელა ზ. ვორონინა, უველაზე მშვიდად — კ. რიგბი (აშშ), უველაზე ... უიღბლოდ — გდრ-ის ტანმოვარჯიშე კ. იანცი (ალბათ უველას ახსოვს, რომ იგი დვირიდან გადმოხტომის დროს დავარდა).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ლ. ᲢᲣᲠᲘᲨᲩᲔᲕᲐ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სპორტული საჩვენებელი გამოსვლები გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში. ღონისძიება მოაწყვეს ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრამ, სპორტულმა კლუბმა და კომკავშირის კომიტეტმა.

სოფლის ახალგაზრდობამ დიდი ინტერესით მოისმინა ლექტორ შ. გოგინაშვილის მოხსენება თემაზე „საბჭოთა სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე“. სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. პაპიტაშვილმა დამსწრეებს უჩვენა ჭიდაობა სამბოსა და ძიუდოს ილეთები. ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდებმა გამართეს საჩვენებელი გამოსვლები ჭიდაობაში (ქართული, სამბო, ძიუდო), სპორტულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში. ჩატარდა ამსანაგური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში. დასასრულ სტუდენტთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

უახლოეს ხანში სტუდენტი-სპორტსმენები ტყვიაველ მშრომელთა წინაშე წარსდგებიან.

• • •

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, აგრეთვე, ქალაქის მოსწავლეთა პირველობა კალათბურთში, მძლეოსნობასა და კროსში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 460-მდე ქალიშვილი და ჭაბუკი.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაშიც 8 სახეობა შედიოდა, პირველობა არავის დაუთმეს მე-7 სკოლის მოსწავლეებმა, კროსში კი გამარჯვება წილად ხვდა მე-11 სკოლას. კალათბურთში გოგონათა გუნდებს შორის იმარჯვეს მეოთხესკოლელებმა, ხოლო ჭაბუკებში — მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა.

• • •

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები. I საპრიზო ადგილი და ჩემპიონობა დაისაკუთრეს პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს მამმეულის ქსოვილების კომბინატისა და საკონსერვო ქარხნის გუნდებმა.

ბ. ᲑᲝᲜᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲡᲔᲕ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ

მოსკოვში დამთავრდა პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების პირადგუნდური ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში უველას აჯობა „ლოკომოტივის“ ნაკრებმა, რომლის სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს მრგვალ სტენდზე და მეორე — ადგილიდან სროლაში. თბილისელთაგან „ლოკომოტივის“ ნაკრებში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი და სპორტის ოსტატი ტ. ჟღენტი გამოდიოდნენ.

სოხუმელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კ. დარასელიამ („გამთიადი“), ისე როგორც სსრ კავშირის ჩემპიონატში, აქაც ადგილიდან წყვილ სამიზნეებზე („დუბლეტი“) სროლაში ჩემპიონობა მოიპოვა — 28 ქულა.

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ

ბიჭვინთაში (გაგრის რაიონი), გაიმართა ირანისა და საქართველოს მოცურავეთა საერთაშორისო მატჩი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 2 ახალი რეკორდი დამყარდა. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბათუმელმა თინათინ დოლიძემ 2.28,6 აჩვენა და 1,1 წამით გააუმჯობესა ქალთა რეკორდი, რომელიც წლეულს ქუთაისელმა ი. ზოტოვამ დაამყარა. ამ დისტანციაზე ამავე სტილით მოცურავე გოგონათა შორის რესპუბლიკის რეკორდსმენი გახდა თბილისელი ი. მარგიშვილი — 2.36,2.

ირანისა და საქართველოს მოცურავეთა საერთაშორისო შეხვედრა დღეს თბილისში, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზში (ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) გაგრძელდება. შეჯიბრება დაიწყება 19 საათზე.

ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **ᲤᲔᲜᲘᲥᲡᲘ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** ტრიუმფალური იყო სსრ კავშირის სპორტსმენთა გამოსვლა აქ გამართულ მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატში. 19 ოქროს, 16 ვერცხლის, 9 ბრინჯაოს მედალი — ასეთია საბჭოთა მსროლელების ნადავლი. ბოლო დღეს თავი გამოიჩინა აშშ-ს ქალთა ნაკრებმა, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1791.

● **ᲕᲔᲜᲐ,** 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. მოსკოველმა ს. გრინბერგმა ავსტრიის ჩემპიონის სახელი მოიპოვა, როცა ავსტრიის მაგიდის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ფინალში სძლია ვ. ჰენდრიკესენს (გფრ). საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში. მათ ოქროს 1, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიხვეჭეს.

● **ᲑᲐᲨᲙᲘᲠᲘᲐ,** 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. აქ ფინეში ჰქონდა საკავშირო მრავალდღიან ველოსიპედოსტა. სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა კიშინოველმა დ. ტრაშინმა — მან 1700 კილომეტრის დაფარვას 41:19,14 მოანდომა. მეორე იყო კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი — 41:22.07, მესამე — დუშანბელი ს. შეპელი — 41:22.44. გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს შეიარაღებული ძალების ველოსიპედისტებმა.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციამ ფიდე-ს პრეზიდენტს, დოქტორ მ. ეივეს აცნობა, რომ პ. ბენკოს ნაცვლად საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს დიდოსტატი რ. ფიშერი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲤᲘᲜᲘᲨᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 28 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინიშის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ჭირს ჭულების მოპოვება. როგორც ჩანს, ისევე როგორც შარშან, ჩემპიონობის ბედს წლეულსაც მოსკოვის „დინამოსა“ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდების მატჩი გადაწყვეტს.

შეჯიბრების მესამე დღეს კი მოსკოვის დინამოელებმა მეტად საჭირო ქულა დაკარგეს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილის გუნდთან შეხვედრაში — 5:5.

ალმა-ათის „დინამოსთან“ მოგება გაუჭირდათ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდის მატჩი გადაწყვეტს — 5:3.

კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივის“ წყალბურთელებმა. ამჯერად ისინი კიევის დინამოელებთან დამარცხდნენ — 2:6.

ძველი მეტოქეების — ლენინგრადის „ბალტიკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი საინტერესო ბრძოლის შემდეგ ფრედ — 7:7 — დამთავრდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა მინიმალური ანგარიშით სძლიეს თანაქალაქელ ტორპედოელებს — 4:3.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 28 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	16	14	2	0	71—39	30
სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი)	16	13	2	1	85—44	28
უნივერსიტეტი (მოსკოვი)	16	10	4	2	81—58	24
„დინამო“ (კიევი)	16	4	7	5	61—63	15
„დინამო“ (თბილისი)	16	5	4	7	69—74	14
„დინამო“ (ალმა-ათა)	16	6	1	9	74—76	13
„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	4	5	7	64—76	13
„ბალტიკა“ (ლენინგრადი)	16	5	2	9	70—69	12
წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (ბაქო)	16	3	4	9	69—84	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვის ოლქი)	16	0	1	15	38—99	1

ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ.

ბ. კამენსკის ფოტოეტიუდი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსნებს დიდი ხნის მეგობრობა აქვთ. ხან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, ხანაც თბილისში ყოველწლიურად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

წლეულს მასპინძლობა თბილისელებს ბვდათ, მაგრამ ამჯერად მათი ხტუმრები მარტო მოსკოველი სტუდენტები როდი იქნებიან — მატჩში, რომელიც 30-31 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება (შეხვედრები 10 საათზე დაიწყება), იქნება (გდრ) და სოფიის (ბულგარეთი) უნივერსიტეტების მძლეოსნებიც იახპარეზებენ. ფაქტიურად ეს იქნება თბილისში გამართული მძლეოსანთა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება.

ხარბიელზე გამოვლენ ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების უძლიერესი ათლეტები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გდრ-ის, სოფიის, საქართველოსა და მოსკოვის სტუდენტთა ნაკრები გუნდების წევრები არიან, ზოგი მათგანი კი ქვეყნის ნაკრებთა დირსებასაც იცავს.

როგორც თბილისის უნივერსიტეტის ფიზალზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა გვიამბო, თბილისისა და სოფიის უნივერსიტეტების ფიზკულტურელები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს რამდენიმე სახეობაში, ჩვენები იყვნენ სოფიაში, ბულგარელი სტუდენტები თბილისს სტუმრობდნენ, მაგრამ ეს შეხვედრები ფაქტიურად ძალთა მოსინჯვა და მეგობრობის საფუძვლის ჩაყრა გახლდათ, წელს კი მეგობრები ოთხთა მატჩში ძალებს უფრო მაღალ დონეზე შეამოწმებენ.

გოკიელმა ისიც დასძინა, რომ განზრახულია ოთხი უნივერსიტეტის სპორტსმენთა შეხვედრების ხეტრის გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს ამ კოლექტივების სპორტული დონის ამაღლებასა და მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებას.





თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო მოკრივეთა რესპუბლიკურმა პირველობამ. ასპარეზობაში გამოდის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, რუსთავისა და ახალციხის 67 სპორტსმენი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — მ. ხვანიძის (ქუთაისი) და ვ. დევდარიანის (თბილისი) შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა ხვანიძემ. მარჯვნივ — ხ. კულუას (ფოთი) და კ. ოსმანეხიანის (სოხუმი) შეხვედრა, რომელიც მოიგო პირველმა.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ — ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ!

სპეციალური სამედიცინო ჯგუფის მოსწავლეებთან სამკურნალო ფიზკულტურის ორგანიზებულად ჩატარებისთვის მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავენ საქართველოს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები. მათს შიერ შემუშავებულ ერთობლივ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტების მომზადებას.

განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა ამას წინათ ჩაატარეს ათდღიანი შეკრება სამკურნალო და პროფილაქტიკური ფიზკულტურის საკითხებზე.

შეკრებას, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდა, დაესწრნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, რუსთავისა და საქართველოს სხვა ქალაქების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, სპორტული სკოლების დირექტორები და მეთოდური გაერთიანებების ხელმძღვანელები. მათ საინტერესო ლექციები მოისმინეს. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ჩიქოვანმა თავის გამოსვლაში მსმენელთა ყურადღება გამამსვილა მოზარდთა სპეციალურ სამკურნალო ვარჯიშებზე. სავეტმო კონტროლისა და ჯანმრთელობის მიხედვით ბავშვთა ჯგუფებად დაყოფის ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებს მიეძღვნა ლექტორ თ. მიქაბერიძის ლექცია.

შეკრების მონაწილეებს თავისი გამოცდილება გაუზიარა ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის პედაგოგმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ხ. კორძაიამ. როგორც შეკრების უფროსმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტის გამგემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. ქუთათელაძემ განაცხადა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გამაჯანსაღებელი სპორტული კომპლექსების პრაქტიკულად შესწავლას.

ამ დღეებში დაიწყო ფიზკულტურის მასწავლებელთა მეორე შეკრება. ამჯერად ერთი თვით შეიკრიბნენ და სამკურნალო პროფილაქტიკური ფიზკულტურის საკითხებში ხელოვნდებიან რესპუბლიკის რაიონების წარმომადგენლები.

Ო. ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

ამ დღეებში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების ნაკრები გუნდები. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს გალის რაიონის სპორტსმენებმა, II ადგილი წილად ხვდა გულრიფშის რაიონის მოჭიდავეებს, III — სოხუმის რაიონის სპორტსმენებს. წონიერი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. მონასელიძე, ვ. ხარჩილავა, ვ. ფანგანი, ტ. ხვისტანი, კ. ონიანი, გ. რატიანი. ჯ. ცხვარაძე, ზ. ქიშმარია.

Შ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲐᲓᲘᲖᲔᲜᲘ

დამთავრდა რაიონის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში 8-წლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის.

8-წლიან სკოლებში I ადგილი დაიკავა სოფ. წახნის გუნდმა, II — სოფ. დიდი სმადის ნაკრებმა, III — სოფ. ხეკაშნის სკოლის კოლექტივმა.

საშუალო სკოლებს შორის ადგილები ასე განაწილდა: აბასთუმანი, უდე, ვარხანი.

Ნ. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲗᲣᲜᲢᲒᲐ

ერთი წელია გაგრაში მუშაობს კრივის სექცია, რომელსაც საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი შ. გვაჯავა უდგას სათავეში.

იმისთვის, რომ სპორტსმენებმა უფრო დახვეწონ ტექნიკა და, რაც მთავარია, სატურნირო ბრძოლის გამოცდილება მიიღონ, ხშირად იმართება საკლასიფიკაციო შეჯიბრებები ადლერის, გუდაუთისა და სოხუმის მოკრივეების მონაწილეობით.

წლეულს გაგრის სპორტსკოლის ნორჩი მოკრივეები პირველად გამოდიოდნენ აფხაზეთის პირად პირველობაში. მათგან სამმა II ადგილი დაიკავა, ექვსმა — III. აღსანიშნავია ისიც, რომ 4 გაგრელი სპორტსმენი აფხაზეთის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში მოხვდა ყველაფერი ეს ახალგაზრდა მწვრთნელის გვაჯავას ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს.

ამას წინათ გაგრის კულტურის სახლში საინტერესო მატჩი გაიმართა: გაგრელი მოკრივეები მასპინძლობდნენ სოხუმის კრივის სპეციალიზებული სკოლის სპორტსმენებს. ხარბიელზე გამოვიდნენ 1955-56 წლებში დაბადებული სპორტსმენები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მასპინძლებიდან თავი გამოიჩინეს გ. პერტიამ, ნ. ჟურავლიოვმა, ი. ბატრაკოვმა, გ. კაპშმ; სოხუმელთაგან — ნ. ცაავამ, ვ. ჭელიძემ, გ. კუროპოვმა, კ. ჩაკლოვმა.

შეჯიბრების საუკეთესო მოკრივეების სახელი მოიპოვეს გაგრელმა გ. პერტიამ და სოხუმელმა გ. კუროპოვმა, რომლებმაც ჯილდად მოკრივის ხელთათმანები მიიღეს.

ბ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

გაგრა.

ᲛᲔᲚᲘᲗᲝᲤᲝᲜᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ

ლითოფონის ქარხანაში სათანადო უურადღება ექცევა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. 40-მდე მელითოფონე მონაწილეობდა ამას წინათ სათაფლიაზე მოწყობილ ტურისტულ ლაშქრობაში. წლის დასაწყისიდან დღემდე ქარხნის შრომელებისთვის 12 ლაშქრობა მოეწყო.

დიდი ინტერესი გამოიწვია შიდასაქარხნო სპარტაკიადამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

400-მდე მელითოფონე ერთმანეთს ეჯიბრებოდა კალათბურთში, ფრენბურთში, ტყვიის სროლაში, შაშსა და ჭადრაკში. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საზომ-საკონტროლო საამქროს კოლექტივმა. მარტო კალათბურთში 12 გუნდი ასპარეზობდა. ყველას სატრანსპორტო საამქრომ აჯობა.

ქარხანას აქვს საკუთარი თეატრი. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები აქ ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს თეატრალურ ხელოვნებაში. ასეთი შეჯიბრება ამ დღეებშიც ჩატარდა. ხარბიელზე თითოეული საამქროდან ორი წარმომადგენელი გამოვიდა. გაიმარჯვა ელექტროსაამქროს მუშამ მ. ერშოვამ, რომელმაც საათში 2 კილოგრამზე მეტი თევზი დაიჭირა. II ადგილზე გავიდა ბარიუმის საამქროს შეკაბარატე ჯ. გაგაშვილი.

Შ. ᲜᲘᲣᲐᲠᲐᲫᲔ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.)

ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი მოსკოველ კოლეგას

სპორტის ოსტატ ა. ლეონტიევს კარგად იცნობენ ფეხბურთის მოყვარულნი. იგი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მიმომხილველია და ხშირად გამოდის საინტერესო წერილებით საფეხბურთო თემაზე როგორც თავისი გაზეთის, ისე სხვა ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე. ლეონტიევს ვერ დასწამებ ფეხბურთის არცოდნას. იგი კარგა ხნის მანძილზე წარმატებით იცავდა მოსკოვის „სპარტაკის" კარს, მონაწილე და მოწმე ყოფილა ომამდელ თუ ომის შემდგომ წლებში გამართული საინტერესო მატჩებისა. ასეა თუ ისე, მოსკოველი კოლეგა ზედმიწევნით გათვითცნობიერებულია თანამედროვე ფეხბურთში, განსაკუთრებით კარგად ეს-მის სამამულო ფეხბურთის ავი თუ კარგი.

ამიტომ დავრჩით გაკვირვებულნი ა. ლეონტიევის გამოსვლით გაზეთ „სტროიტელნაია გაზეტას" ფურცლებზე (11 ოქტომბერი, 1970 წ.). აი, რას წერს ავტორი თავის წერილში მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" მატჩის შესახებ, რომელიც მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა: „არა, სპარტაკელები არ თამაშობდნენ თავიანთ საუკეთესო მატჩს — შვეიცარიის „ბაზელთან" შეხვედრაში მიღებულ ფსიქოლოგიურ ტრავმას უკვალოდ არ ჩაუვლია. მაგრამ აი, თბილისელთა მიერ ამ მატჩში დემონსტრირებული ინერტულობის, უინიციატივობის მიზეზის ახსნა ძალზე ძნელია. თანდათან ვრწმუნდები, რომ თბილისელთა თამაშმა მექსიკაში სსრ კავშირის ნაკრების წარუმატებლობის საიდუმლოებას ფარდა ახადა. როცა ნაკრებში მიიწვია თბილისის „დინამოს" ხუთი მოთამაშე, გ. კაჩალინს მხედველობიდან გამორჩა, რომ მათ არ შეუძლიათ კარგად, მებრძოლურად ითამაშონ სხვის მინდორზე. თბილისელებს ბოლ დღემდე არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ მეტოქის მინდორზე. რეკორდია? დიახ! მაგრამ სამწუხარო".

ლეონტიევი მართალია, როცა აღნიშნავს ჩვენი დინამოელების სუსტ გამოსვლას მეტოქეთა საფეხბურთო მინდვრებზე. ამ ფაქტის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენს პრესაში. მაგრამ რა კავშირი აქვს ამ ამბავს მექსიკის ბატალიებთან? მგონი, არავითარი.

ჩვენი აზრის განსამტკიცებლად უტყუარი საბუთია სტატისტიკა და, მოდით, მოვიშველიოთ იგი. დავიწყოთ სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრები მატჩებიდან. 10 სექტემბერი. ბელფასტი. ჩრდილოეთ ირლანდია — სსრ კავშირი — 0:0. ანგარიში არ გახსნილა. ირლანდიელთა უძლიერეს თავდამსხმელს ბეტს საუცხოოდ მეურვეობდა თბილისელი რ. ძოძუაშვილი. 15 ოქტომბერი. კიევი. სსრ კავშირი — თურქეთი — 3:0. თბილისის „დინამოდან" თამაშობდნენ ძოძუაშვილი, ხურცილავა, ახათიანი, ნოდია. სამიდან ერთი ბურთის ავტორი იყო ნოდია. მატჩის შემდეგ თურქების მწვრთნელმა ა. გეგიჩმა აღნიშნა: „მე მომეწონა მუნტიანის, ასათიანის, ნოდიას, ბიშოვეცისა და ძოძუაშვილის თამაში".

22 ოქტომბერი. მოსკოვი. სსრ კავშირი — ჩრდილოეთ ირლანდია — 2:0. მატჩში მონაწილეობდა სამი თბილისელი — ძოძუაშვილი, ასათიანი, ნოდია. ანგარიში გახსნა ნოდიამ — 1:0. ეს იყო სსრ კავშირის ნაკრების მიერ გატანილი მე-800 ხაიუბილეო გოლი საერთაშორისო მატჩებში. ამ შეხვედრისადმი მიძღვნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს თვით ლეონტიევი, ვკითხულობთ: „... სასიამოვნოა, რომ ჩვენმა ნაკრებმა ამ მატჩში აჩვენა მაღალი ხარისხის ფეხბურთი, კარგი ფიზიკური მომზადება, ტაქტიკური აზროვნობა, და რაც მთავარია — ყველა ფეხბურთელმა განურჩევლად გამოავლინა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა". 16 ნოემბერი. სტამბოლი. თურქეთი — სსრ კავშირი — 1:3. თურქებთან მატჩში მონაწილეობდნენ ძოძუაშვილი, ხურცილავა, ახათიანი, ნოდია. მეტოქის კარში ორი ბურთი გაიტანა ახათიანმა. სსრ კავშირის ნაკრები გავიდა გათამაშების ფინალურ ჯგუფში.

და აქ რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. სსრ კავშირის ნაკრებმა ბელგიის გუნდთან მატჩის გარდა, სუსტად ჩაატარა სხვა შეხვედრები, მაგრამ ისიც ხომ შეიმჩნეოდა, რომ თბილისის „დინამოდან" ნაკრებში მივლინებული ფეხბურთელები თავიანთ კოლეგებს არ ჩამოუვარდებოდნენ არც ტექნიკით, არც ტაქტიკური აზროვნებით. ამას ტელეეკრანზე ვხედავდით ჩვენ, ხედავდა ა. ლეონტიევიც.

ჩემპიონატის შემდეგ ცენტრალური, რესპუბლიკური ყურნალ-გაზეთების ფურცლები პირდაპირ აჭრელდა ჩვენი ნაკრების მისამართით გამოთქმული კრიტიკული წერილებით. სხვათა შორის, ეს კრიტიკა საფუძვლიანი, მართებული იყო. და აქ განა მარტო მექსიკაში ჩავარდნაზე იყო ლაპარაკი? რასაკვირველია, არა. იხსენებდნენ ოლიმპიურ თამაშებს, რომლის ფინალურ ტურნირში წლების განმავლობაში არ გამოდის სსრ კავშირის ნაკრები, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების შფლობელთა თასის გათამაშებებს, სადაც საბჭოთა საკლუბო გუნდები მოკრძალებულ შედეგებს აღწევენ. არავის მოსვლია აზრად ყველა ცოდვა მექსიკაში მივლინებული თბილისელი ფეხბურთელებისთვის მიეწერა. ნათქვამია, არც ერთი არ უქნია ღვრთსო, სწორედ ასე იყო ჩვენი ფეხბურთელების (ერთი-ორის გამოკლებით) საქმე. ამას ყველა ნათლად ხედავდა და რაში დასჭირდა ლეონტიევს სუსტად მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრების ყველა ცოდვა ქართველი ფეხბურთელებისთვის გადაებრალებინა? წარუმატებლობის მიზეზი ნათელია. ამის საილუსტრაციოდ ცნობილი ფეხბურთელების ლ. იაშინისა და ნაკრების კაპიტნის ა. შესტერნიოვის მიერ გამოთქმული აზრიც კმარა.

ლ. იაშინი: „საერთოდ, ყველა ჩემპიონატში ერთ და იმავე დონეზე ვთამაშობთ. არ შეგვიძლია მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა".

ა. შესტერნიოვი: „ჩვენი თამაშის დონით მეტის მოღწევა შეუძლებელი იყო. არ ვთამაშობთ შემტევ და, ამასთან, ლამაზ ფეხბურთს". გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს სამამულო ფეხბურთის სპეციალისტებმა, გამრნელმა ფეხბურთელებმა გამოთქვეს აზრი ამ საკითხზე, ილაპარაკეს ჩამორჩენის მიზეზებზე, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დასახა ღონისძიებები საბჭოთა ფეხბურთის შემდგომი განვითარების მიზნით. და ამ მომენტში რა ცუდად ულერს სპორტის ოსტატ ა. ლეონტიევის სიტყვები ხუთი ქართველი დინამოელის „წვლილზე" მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრების წარუმატებელ გამოსვლაში. ხომ უნდა სცოდნოდა ლეონტიევს, რომ ნაკრებში კიევის „დინამოდან" 6 ფეხბურთელი იყო შეყვანილი და სწორედ კიევის „დინამო" თამაშობს საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე უკეთ მეტოქის მინდვრებზე?

მილიონობით გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა წვლილი შეიტანეს ქართველმა სპორტსმენებმა სამამულო ფეხბურთის განვითარებაში. მხოლოდ ესაა საკითხი: ევროპის საფეხბურთო ტურნირებში ლვოვის „კარპატისა" და მოსკოვის „სპარტაკის" წარუმატებლობას, ოლიმპიური ნაკრების მარცხს შვეიცის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრაში, ნეტავ ვისლა გადააბრალებს პატივცემული კოლეგა?

საბჭოთა ფეხბურთში თბილისის „დინამოს" ხვედრითი წონა რომ დიდია, ამის ნათელი დადასტურებაა სსრ კავშირის განახლებული ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც 8 „მექსიკელი" — ძოძუაშვილი, ახათიანი და ნოდიაა შეყვანილი. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ა. ლეონტიევის ამ უცნაური მტკიცების უსაფუძვლობას.

ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ჯიჩვეული

წაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იმერეთი" (თერჯოლა) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:0. მსაჯი გ. სართანია (ზუგდიდი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 4:3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალი მაყურებელი მიიზიდა. თამაში, მართლაც, დაძაბულად, მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (კაპანაძე), მაგრამ ჩხეტიამ ტაიმის დასასრულს აღადგინა თანაფარდობა — 1:1. შესვენების შემდეგ ორივე გუნდის თავდამსხმელები მოქმედებდნენ აქტიურად, ჯერ დანელიამ გაიყვანა წინ „სალხინო", რასაც ალხაზიშვილის სამასუხო ბურთი მოჰყვა — 2:2. ამის შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება, რაც დამთავრდა დანელიას და თორდინავის 2 გოლით. ლიდერმა მხოლოდ ერთხელ დაამთავრა წარმატებით თავისი იერიში. (კაპანაძე) და დამარცხებულმა დატოვა მინდორი.

● „სქური" (წალენჯიხა) — „ცისკარი" (სილნალი) 2:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

სილნალელებს I ტაიმში ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ისინი არ იქნა გამოყენებული. შემდგომში ინიციატივამ მასპინძელთა მხარეს გადინაცვლა, რომლებმაც საბოლოოდ მოიგეს კიდეც ეს შეხვედრა — 2:1.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

მინდორზე თავიდანვე უშეღავათო, საინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც 42-ე წუთზე დამთავრდა ლომიძის მიერ ცხაკაიელთა კარში გატანილი გოლით. 65-ე წუთზე მელიქიძემ კიდევ ერთხელ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში. იგრძნეს რა დამარცხების რეალური საშიშროება, ეგრისელები ხანგრძლივ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლეს (ესეფუა).

● „სინათლე" (თბილისი) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

● „გიგანტი" (ლაითური) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

თითქმის მთელი თამაში მიმდინარეობდა „გიგანტის" აშკარა უპირატესობით. წულუკიძელთა კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მათი დაცვისა და განსაკუთრებით მეკარე ჩაკვეტაძის კარგი თამაშის წყალობით „ფეიქარმა" შეძლო თამაშის ფრედ დამთავრება.

● „მალაროელი" (ჭიათურა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ო. სირაბიძე (ბათუმი).

● „ისანი" (თბილისი) — „მეხეთი" (ახალციხე) 3:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

ახალციხელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და 35-ე წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს. „ისანმა" მხოლოდ შესვენების შემდეგ მიაღწია გარდატეხას თამაშში და ზედიზედ გატანილი 3 ბურთის შემდეგ გაიმარჯვა კიდეც.

● „მზიური" (გალი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 2:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

უშეღავოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ გალელებმა გააძლიერეს თამაში. მათი მრავალი იერიშიდან 2 კარის აღებით დაამთავრეს ინჯგიამ და ანჯაფარიძემ.

შედგა გამოტოვებული მატჩი თერჯოლის „იმერეთსა" და გეგეჭკორის „სალხინოს" შორის. გაიმარჯვა „იმერეთმა" — 2:0.

II ჯგუფი. I ზონა. „მშენებელი" (წალკა) — „შევარდენი" (თბილისი) 1:0, „ჭერეთი" (ლაგოდეხი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 3:4, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „მევენახე" (ბოლნისი) 3:2. რუსთავის „ხპარტაკს" გამარჯვება ჩაეთვალა ახალქალაქის „აბულთან", ხმელეთის „ბახტრიონს" — მცხეთის „არაგვთან" და ასპინძის „ვარძიას" — თეთრი წყაროს „გარისთან".

II ზონა. „მექანიკოსი" (სამტრედია) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:0, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „განასლება" (ადიგენი) 1:1. ქედის „კოლმეურნეს" გამარჯვება ჩაეთვალა ჰბაშის „განთიადთან". საჩხერის „ჩიხურასა" და ხობის „კოლხეთის" შეხვედრაში საჩხერელი ფეხბურთელები სულიგნობდნენ, სისტემატურად არღვევდნენ წესრიგს, რის გამოც მათ დამარცხება ჩაეთვალა.

გამოტოვებულ შეხვედრებში ფიქსირდებულია ასეთი შედეგები: „ბახტრიონი" (ახმეტა) — „სპარტაკი" (რუსთავი) 0:4, „გარეჯი" (საგარეჯო) — „გარისი" (თეთრი წყარო) 3:1, „კოლმეურნე" (ქედა) — „დინამო" (ქუთაისი) 2:2, „მექანიკოსი" (სამტრედია) — „ეგერია" (ხაშური) 1:7. წალკის „მშენებელს" გამარჯვება ჩაეთვალა „მეენახეებთან".

* * *

31 ოქტომბერს ჩატარდება ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური თამაშების I ტური. I ზონა. „იმედი" (აწყური) — „შახტმშენი" (მარნეული), „ბაბუაიანი" (ლაგოდეხი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი). II ზონა. ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — თამბაქოს კომბინატი (ხოსუმი), „სპარტაკი" (ვანი) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა).

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 29 ოქტომბრისთვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	39	23	9	7	79—34	55
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	36	23	8	6	75—46	55
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	36	20	13	5	76—38	53
„ეგრისი" (ცხაკაია)	35	20	8	7	61—31	48
„სალხინო" (გეგეჭკორი)	38	18	12	8	63—39	48
„სინათლე" (თბილისი)	37	17	12	8	64—38	46
„სქური" (წალენჯიხა)	37	18	10	9	54—34	46
„ისანი" (თბილისი)	39	14	17	8	45—36	45
„მზიური" (გალი)	39	11	18	10	46—42	40
ასკ (თბილისი)	39	15	9	15	46—49	39
„ფეიქარი" (წულუკიძე)	38	14	11	13	47—57	39
„სამცხე" (აწყური)	34	12	14	8	34—32	38
„ქართლი" (გორის რაიონი)	38	12	13	13	53—54	37
„იმერეთი" (თერჯოლა)	37	11	11	15	44—39	33
„ვარკეთილი" (გარდაბანი)	39	10	13	16	36—45	33
„გიგანტი" (ლაითური)	38	9	15	14	40—60	33
„ენგური" (ზუგდიდი)	37	7	15	15	26—43	29
„ცისკარი" (სილნალი)	38	8	13	17	25—45	29
„ბახმარო" (ჩოხატაური)	39	5	16	18	40—70	26
„მალაროელი" (ჭიათურა)	38	6	10	22	42—76	22
„მშენებელი" (ბორჯომი)	38	6	8	24	35—71	20
„მეხეთი" (ახალციხე)	39	4	10	25	42—95	18

II ჯგუფი

I ზონა

„ვარძია" (ასპინძა)	27	19	4	4	48—18	42
„ბარეჯი" (საგარეჯო)	28	17	7	4	69—30	41
„მევენახე" (ვაზისუბანი)	27	15	5	7	57—38	35
„სპარტაკი" (რუსთავი)	26	14	7	5	48—30	35
„მევენახე" (ბოლნისი)	26	14	4	8	49—35	32
„დურუჯი" (ყვარელი)	27	14	3	10	50—32	31
„შევარდენი" (თბილისი)	26	11	8	7	44—41	30
„მშენებელი" (წალკა)	27	13	4	10	33—35	30
„ჭერეთი" (ლაგოდეხი)	28	10	9	9	52—48	29
„შირაქი" (წითელი წყარო)	27	8	6	13	24—41	22
„ბარისი" (თეთრი წყარო)	28	6	7	15	38—50	19
„აბული" (ახალქალაქი)	26	7	4	15	27—48	18
„არაგვი" (დუშეთი)	27	5	6	16	29—50	16
„ბახტრიონი" (ახმეტა)	27	5	5	17	21—47	15
„არაგვი" (მცხეთა)	27	3	3	21	30—78	9

II ზონა

„ეგერია" (ხაშური)	23	15	7	1	42—14	37
„კოლხეთი" (ხობი)	24	15	7	2	45—18	37
„დინამო" (ქუთაისი)	24	11	5	8	38—25	27
„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)	24	8	11	5	27—20	27
„ბორეხი" (ბათუმი)	24	10	5	9	28—26	25
„ოდიში" (ზუგდიდი)	24	8	7	9	23—27	23
„განახლება" (ადიგენი)	24	9	5	10	26—31	23
„ხაირმე" (მაიაკოვსკი)	23	8	5	10	32—39	21
„ჩიხურა" (საჩხერე)	24	6	4	12	28—34	20
„კოლმეურნე" (ქედა)	24	5	7	11	21—37	19
„განთიადი" (ჰბაშა)	24	3	11	10	18—30	17
„სამგურალი" (წყალტუბო)	24	5	7	12	28—41	17
„მექანიკოსი" (სამტრედია)	24	7	3	14	31—45	17

ზონალური პირველობა

საბოლოო მდგომარეობა.

I ზონა

„შახტმშენი" (მარნეული)	12	8	1	3	15—12	17
„იმედი" (აწყური)	12	7	2	3	19—9	16
„მადნეული" (კაზრეთი, ბოლნისი)	12	6	1	5	13—17	13
„ფარეანა" (ბოგდანოვკა)	12	5	1	6	15—11	11
„ოლიმპი" (ავრანლო, წალკა)	12	5	1	6	7—8	11
„კლდეკარი" (მანგლისი)	12	3	3	6	11—14	9
„რაიკავშირი" (დმანისი)	12	3	1	8	11—20	7

II ზონა

„ვაზი" (შრომა, გურჯაანი)	14	11	2	1	38—10	24
„ბაბუაიანი" (ლაგოდეხი)	14	10	3	1	28—17	23
„განთიადი" (ცანა)	14	10	2	2	29—12	22
„წინანდალი" (თელავი)	14	6	0	8	29—31	12
„ტიბაანი" (სილნალი)	14	4	3	7	17—26	11
„ქისტაური" (ახმეტა)	14	5	0	9	21—19	10
„ნაფარეული" (თელავი)	14	3	1	10	7—26	7
„ეორი" (თიანეთი)	14	1	1	12	8—28	3

III ზონა

„სპარტაკი" (ვანი)	10	8	1	1	22—12	17
ჩაის საბჭ. მეურნ. (წალენჯიხა)	10	7	0	3	12—10	14
„ჟვედა ბაბვი" (მახარაძე)	10	5	1	4	19—12	11
„განთიადი" (ქარელი)	10	5	1	4	12—16	11
„კოლმეურნე" (ლანჩხუთი)	10	2	1	7	12—18	5
„ლესიეზინე" (ჩხოროწყუ)	10	1	0	9	2—11	2

მუჰამედ ალიმ გაიმარჯვა

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. 28 წლის ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ 8-წლიანი შესვენების შემდეგ რინგზე 30-ე გამარჯვება მოიპოვა. ქალაქ ატლანტის დარბაზში 5 ათასი მაყურებლის თვალწინ მან დაამარცხა თავისი თანამემამულე ჯერი კვორი. ბრძოლა უკვე მესამე რაუნდში დამთავრდა. კვორის წარბი გაუსკდა.

ამ ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. „მიუნისიპალ აუდიტორიუმ ი ს“ დარბაზში, სადაც შეხვედრა ჩატარდა, ნემსი არ ჩავარდებოდა. ასევე გაჭედილი იყო ამერიკის 200 კინოთეატრი, სადაც ეკრანებზე ტელევიზიის დახურული ქსელით გადასცემდნენ ამ ორთაბრძოლას. დასასრულ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს კვორისა და მუჰამედ ალის შეხვედრას კავშირგაბმულობის თანამგზავრის მეშვეობით. რინგის ირგვლივ 600 ჟურნალისტი იჯდა.

ყველას აინტერესებდა ერთი საკითხი: მოახდენა თუ არა გავლენა 8 წლით შესვენებამ ალის სპორტულ ფორმაზე, მის ფანტასტიკურ სისწრაფეზე, არაჩვეულებრივ ნებისყოფაზე. რინგიდან წასვლამდე ხომ მან 29 შეხვედრაში 29 გამარჯვება მოიპოვა და აქედან 23 ნოკაუტით.

უკვე პირველ რაუნდში მუჰამედ ალიმ ძლიერი დარტყმები დაუშინა მეტოქეს. კვორიმ სცადა რამდენიმე კონტრიერიშით ეპასუხნა, მაგრამ მუჰამედ ალიმ დაამტკიცა, რომ სამართლიანად ეძახიან „მოცეკავე მოკრივეს“. იგი ახერხებდა ამ იერიშებისგან თავის დაღწევას. მეორე რაუნდიც ალის გამარჯვებით დამთავრდა, მესამე რაუნდში კი რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა, რადგან დარტყმების მორიგი სერიის შემდეგ კვორის წარბი გაუსკდა და შეხვედრის გაგრძელებას შეიძლება მძიმე ტრავმა მოჰყოლოდა.

ამგვარად, მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც 1967 წელს ტიტული ჩამოართვეს მისი პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ტრიუმფით დაუბრუნდა რინგს. მის საბრძოლო თვისებებზე სამ წელიწადს გავლენა არ მოუხდენია. ალი კვლავ სწრაფია, მისი დარტყმა კი უწინდებურად ძლიერი.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჯერი კვორიმ აღიარა, უკვე მეორე რაუნდში მივხვდი, რომ მარცხი არ ამცდებოდაო. მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა თურმე, ხუთ-ექვს რაუნდს მაინც გავუძლებო. 25 წლის კვორი პროფესიონალ მოკრივეთა შორის მეორე ნომერია ჯო ფრეზერის შემდეგ (დღეს ამ უკანასკნელს ეკუთვნის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალებში).

მუჰამედ ალიმ პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ იგი ახლა უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე გასულ წლებში. კვორისთან შეხვედრა მისთვის ძალიან რთული იყო, რადგან მისი მეტოქე საერთოდ სწრაფი ტემპით იბრძვის და, ამას გარდა, დარტყმების მდიდარი არსენალიც აქვს.

როგორია მუჰამედ ალის შემდგომი გეგმები? მას განზრახული აქვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გაუმართოს ჯო ფრეზერს. ნიუ-იორკის სპორტულმა კომისიამ მას ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ დარბაზში „მედისონ სკვერ გარდენში“ გამოსვლის ოფიციალური ნებართვა მისცა. ფრეზერის მენეჯერმა ბრძოლის დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ ეს შეხვედრა შეიძლება თებერვალში შედგეს.

როგორც ბევრი სხვადასხვა საagენტოს კორესპონდენტები იუწყებიან, მუჰამედ ალის განზრახული აქვს განაგრძოს ბრძოლა უსამართლო განაჩენის გასაქარწყლებლად. 1967 წელს, როგორც ცნობილია, მას 5 წლით პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს, რადგან უარი თქვა ვიეტნამში საომრად წასვლაზე.

რასისტმა გუბერნატორმა მედოქმა ალის გამარჯვების დღე — 26 ოქტომბერი, ორშაბათი, გლოვის დღედ გამოაცხადა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

შინ დაბრუნებისას...

გორი. ქალაქის სტადიონი. 27 ოქტომბერი.

„დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 5:2 (4:0).

„ᲓᲘᲚᲐ“: ჩლაიძე (კირვალიძე), კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ეზუბბაია, გელდიაშვილი (ჩოჩიშვილი), ჭეიშვილი (ხანიაშვილი), ბურჯანაძე, კაპანაძე, პაპიაშვილი, მაღრაძე.

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“: ვოიცეხკო, ტამოშევი, კურნოსოვი, კაბეევი, ჩალკინი (უგლოვი), პისარენკო (გალიცკი), კისლიჩენკო, ბულგაკოვი (გრიგორიევი), პინკოვი, მნაცაკანიანი, ვასილენკო.

მსაჯი ვ. აკოფოვი (ბაქო).

მორიგი გასვლითი მატჩების შემდეგ გორელ ფეხბურთელთა საქმე ძალზე ცუდად წავიდა. „დილამ“ ზედიზედ წააგო შეხვედრები და იმდენად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა, რომ აუტსაიდერებამდე ჩამოქვეითდა, რითაც მთელი სეზონის ნაშრომი წყალში ჩაიყარა. ახლა, დარჩენილ შეხვედრებში, საჭიროა ყველაფრის გაკეთება, რათა გუნდმა გამოასწოროს ეს ჩამორჩენა.

განვლილ ტურში გორელებს ძალზე ძლიერი მეტოქე ჰყავდათ ტაგანროგის „ტორპედოს“ სახით. მიუხედავად ამისა, მათ თავიდანვე უკიდურესად მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს, რომ გამარჯვებისთვის იყვნენ განწყობილნი. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ანგარიში გახსნა პაპიაშვილმა, რომელმაც კარგად დაამთავრა საჯარიმოდან გათამაშებული კომბინაცია.

პირველ წარმატებას მოჰყვა მეორეც. პაპიაშვილი გაექცა მოწინააღმდეგე მცველებს და მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 25-ე წუთზე მაღრაძის ზუსტმა დარტყმამ მესამედ მიაღწია მიზანს. ტაიმის დასასრულს პაპიაშვილმა კიდევ ერთხელ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ანგარიშით 4:0 „დილის“ სასარგებლოდ დამთავრდა ტაიმი.

შესვენების შემდეგ იმავე პაპიაშვილმა, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებული სიძლიერით თამაშობდა, მესუთე ბურთი გაიტანა „ტორპედოელთა“ კარში.

ამის შემდეგ გორელებმა რამდენადმე შეანელეს თავიანთი იერიშები და კონტრთამაშის საშუალება შეუქმნეს მოწინააღმდეგეს. სტუმრებმა ამით ისარგებლეს და 2 საპასუხო ბურთი გაიტანეს.

ბ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

II ᲯᲒᲣᲤᲘ

II ᲖᲝᲜᲐ

გოლო ტურის ᲬᲘᲜ

თბილისის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის 1971 წლის პირველობის ნახევარფინალი. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 1 ტური. 8-8 ქულით ლიდერობენ ს. მიქაძე და გ. ციხელაშვილი (აღსანიშნავია ამ უკანასკნელის გამარჯვება საერთაშორისო ოსტატ რ. ჯინჯიხაშვილთან). 7,5 ქულა მოაგროვა ჯინჯიხაშვილმა. 7-7 ქულა აქვთ ვ. მეჩიტოვს, რ. კაპანაძესა და ნ. ჩახოიანს. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ნანა ალექსანდრიამ, გ. მაჭავარიანმა, დ. ჯანოევმა, დ. გედევანიშვილმა, ვ. ტახტაროვმა, პ. შაქარიანმა და ა. არჩვაძემ. 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან მ. აივაზოშვილი, ვ. სემიონოვი, ი. ლაპიძე და ა. წერეთელი. ძირითადად ეს მოჭადრაკეები ინარჩუნებენ პირველ ათ ადგილზე გასვლის შანსს, რაც ფინალში თამაშის უფლებას იძლევა (ჯინჯიხაშვილი და ალექსანდრია უკონკურსოდ თამაშობენ).

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ



იალტა, 27 ოქტომბერი. უკრაინის „ავანგარდის“ მძლეოსანთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე 18 წლის ი. კორჩენკოვმა, 5000 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის იუნიორთა ახალი რეკორდი დაამყარა — 14.29,2.

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ.

ბ. ერაძის ნახატი.

გაუთავებელი პენალტი

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 27 ოქტომბერი.

„დინამო“ (ბათუმი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 0:0.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: მორჩილაძე, ჩხაიძე, ცინარიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, მაჩხელავნი, კვიტაიშვილი, ჩხაიძე, ესებუა, რამიშვილი.

„ᲡᲢᲐᲚᲘ“: აბაევი, ოსიპოვი, დერგაჩი, კატოპულო, მიშლოვი, პავეცკო, შერშნევი, მინაევი (კორშუნოვი), გოლოვკო, კირილოვი, კოროტკოვი.

მსაჯი ო. ბეგოიანი (ერევანი).

1 ქულა 6 შესაძლებლიდან! ასეთი არასახარბიელო შედეგით დაამთავრეს ბათუმის დინამოელებმა თავიანთი კალენდარული შეხვედრები სტუმრად და, ცხადია, საგრძნობლად გაიფუჭეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

ამ მდგომარეობას უნდა აეძულებინა გუნდი აუცილებლად აეღო 2 ქულა ისეთ სუსტ მეტოქესთან, როგორიცაა ვოლგოგრადის „სტალი“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ბათუმელებმა ძველ დანაკარგს საკუთარ მინდორზე ახალიც დაუმატეს.

„დინამო“ იმაშია დამნაშავე, რომ ძალზე დაბალ ტემპში, დუნედ დაიწყო თამაში და მეტოქეს ორგანიზებული წინააღმდეგობის საშუალება მისცა. 30 წუთმა განვლო ისე, რომ ბურთი თითქმის არ გასცილებია მინდვრის შუაგულს. კიდევ მეტიც — ტაიმის დასასრულს გოლოვკოს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობაც კი მიეცა.

მიუხედავად ასეთი ცუდი თამაშისა ბათუმელებს სწორედ პირველ ტაიმში ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა. მე-40 წუთზე დერგაჩმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც „სტალის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. პენალტის შესრულება მიენდო სირბილაძეს, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი აბაევმა კუთხურზე მოიგერია.

მასპინძლებმა სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში შესვენების შემდეგ. ისინი თითქმის არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის კარს, ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ კვიტაიშვილს, რამიშვილს, ილურიძეს, ჩხაიძეს — მათ კი ეს ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ, „დინამომ“ დაკარგა ქულა — 0:0.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

რედაქტორის მოადგილე

ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფიზიოლოგიისა და ქიმიის კათედრის ბიოქიმიის უფროსი მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე — 1 საშტატო ერთეული (ქართული და რუსული ენების ცოდნა სავალდებულოა).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9 საათიდან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49. ტელეფონი: 22-31-60, 22-00-76.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 29 ოქტომბრისთვის

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	29	18	6	5	62—21	42
ცსკა	31	15	11	5	45—24	41
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	29	12	13	4	43—23	37
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	31	13	10	8	47—31	36
„დინამო“ (კიევი)	29	14	7	8	41—34	35
„შახტიორი“ (დონეცკი)	27	14	5	8	48—26	33
„ტორპედო“ (მოსკოვი)	30	12	9	9	44—35	33
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	29	11	11	7	34—28	33
„დინამო“ (თბილისი)	28	11	7	10	36—41	29
„ნივთჩი“ (ბაქო)	30	10	6	14	30—48	26
„დინამო“ (მინსკი)	29	9	7	13	33—45	25
ასკ (დონის როსტოვი)	30	8	8	14	32—39	24
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	7	8	11	34—39	22
„არარატი“ (ერევანი)	29	6	10	13	28—37	22
„შახთიორი“ (ტაშკენტი)	30	6	10	14	36—60	22
„ტორპედო“ (ქუთაისი)	29	7	4	18	27—55	18
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	28	4	4	20	20—60	12

„ბ“ კლასის II ზონის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის ჩატარდა კიდევ 3 გამოტოვებული შეხვედრა. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — თბილისი, „ლელო“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.